



აღვასახენა ასაცველი

პეტრე პირველი —

ქართული გენი

ალექსანდრე ახაფნელი

პეტე პიჟვერი -
ქახთყრი განი

თბილისი
2013

რედაქტორ-გამომცემელი:
გოჩა ლვილიაშვილი



ფამქაბალონებელი:
ნობა ბელოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მარა ბოლქვაძე

©ალექსანდრე ახატნელი
©გოჩა ლვილიაშვილი

ავტორისაგან

ყოველ ერს ჰყავს გამორჩეული შვილები, რომელთა როლისა და დამსახურების შესახებ მსჯელობა არ წყდება. თაობათა გა- დასახედიდან, მათ შესახებ, შეიძლება ურთიერთგამომრიცხავი აზრიც არსებობდეს. რუსი ერისათვის ასეთებია იმპერიის შემქმ- ნელი პეტრე დიდი და საბჭოთა იმპერიის შემქმნელი იოსებ სტალინი. მესამე „დემოკრატიული“ იმპერია ჯერ არ შექმნილა.

რუსეთის იმპერიის შემქმნელი პეტრე დიდის ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველთვის დიდი ინტერესისა და აზრთა სხვაობის საგანი იყო.

ქართული საზოგადოებაც არ წარმოადგენდა ამ მხრივ გა-
მონაკლის.. არც ავტორი.

მოარული ხემების გარდა, იყო ისეთი მინიშნებებიც, როგორიც ს. დიანინის მიერ შექმნილ წიგნშია კომპოზიტორ ბოროდინის შესახებ. იყო მუდმივი ძიება მოსკოვისა და ლენინგრადის (სანკტეტერბურგის) არქივებში და სპეციალურ საცავებში. და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი, სულმნათი აკაკი განწერელიას მოგონებაა. მან შეიძლება კიდევაც დატოვა ჩანაწერი. აქ კი იმ სახით გადმოიცემა, როგორც მოგვიყვა მასთან სტუმრობისას, კეკელიძის ქ. ორ ნომერში:

1937 წ. მოსკოვში, ქართული კულტურის დეპარტამენტის მინისტრის მიერ რამდენიმე პირი, ვესტურისტები და რუს მწერალ ალექსი ტოლსტოის, გაოცება გამოიწვია პეტრე დიდის პორტრეტთა სიუჟეტების კითხვებზე, ალბათ ძალიან გიყვართ პეტრე, რომ ყველ-

გან მისი პორტრეტებია, გვიპასუხა: მძულს, ჩვენი გაოცების პასუხად, გვანახა პეტრეს დედის ნატალია ნარიშკინას წერილი ნიკოლაი დავიდოვიჩისადმი (ასე ეძახდნენ რუსეთში ერეკლე I), სადაც ეწერა, როგორი ცელქი იზრდება მათი პეტრუშა. იქვე დაამატა, რომ პირადად სტალინმა უბრძანა არ გაეხმაურებინა პეტრეს მამის ვინაობა.

მუდმივი აკრძალვა არ არსებობს. ამის მოკრძალებული შედეგია წინამდებარე ნაშრომი.

წინამდებარე მოკლე ნაშრომი რუსეთის იმპერიის ფუძემდებლის, პეტრე რომანოვის წარმომავლობას ეხება. ამ მხრივ მისი პიროვნება დღემდე მაინც მივიწყებული იყო.

ალექსანდრე ახატნელი



— თქვენი დედაც — იყვირა ღვინით შეთამამებულმა მეფემ — შეხედეთ ივან მუსინ-პუშკინს. შესანიშნავად იცის, რომ მამა-ჩემის გაკეთებულია. ამიტომ ჰგავს ჩემ უფროს დას სოფიას. მასავით დაბალი, მოკლეკისრიანი, ბალნიანი და სახელაუღაუაა. ასეთი იყო მამაჩემი, ასეთებია ჩემი და-ძმები, მე ვის დავემს-გავსე მაღალი, შავგვრემანი, შავი ტალღისებური თმით? მინდა ვიცოდე, ვინ გამაკეთა?

ვის უნდა ეთქვა ყმაზე ვილისათვის, რუსეთის მეფისათვის, ვინ იყო მისი შემქმნელი? რომც სცოდნოდათ, სიკვდილით დასჯის შიშით, ვინ გაამხელდა საიდუმლოს?

არა და, ნებისმიერი ადამიანის უფლებაა იცოდეს, ვისი მცდელობით მოევლინა ქვეყნიერებას.

მეფე პეტრე რომანოვი ამაოდ ცდილობდა გარშემო მყოფთათვის ეთქმევინებინა სიმართლე. გამნარებული სწვდა საყელოში ბოიარ ტიხონ სტრეშნევს.

— შენ იდექი ხოლმე დედოფლის საძინებლის მხარეს. შენს მეტი ვინ შეძლებდა იქ ფარულად შესვლას. თქვი სიმართლე.

— მე არა. ჯერ ერთი ყოველთვის ორნი ვმორიგეობდით სასახლის ქალთა ნაწილის კარებთან. ჩვენ იქით გახედვის უფლებაც არა გვქონდა. შიგნით მხოლოდ ქალები ემსახურებოდნენ ნატალია კირილეს ასულს.

— მაშ ვინ, გერმანელი ექიმი? დანიელ ფონ გადენი? ვინ? ვის ჰქონდა რუსეთის დეოდოფლის სანთიბიოში შესვლის უფლება? შენ, სტრეშნევ, შენ.

— მეფევ, ნუ გამირისხდებით. დედოფლის პალატებში



უფლისწული პეტრე რომანოვი

უკრაიელებისაა თუ რუსების.

გამოვტოვოთ, ვიკინგების რუსეთში „მოღვაწეობისა“ და რიურიკების „შემოქმედების“ საკითხები.

ფაქტია, რომ მეფე თევდორე ივანეს ძის სიკვდილით მთავრდება ივანე კალიტას ჩამომავლების ზეობა რუსეთში. ესაა 1598 წელი. ამას მოსდევს ბორის გოდუნოვის, ვასილ შუისკის, პოლონელებისგან თავსმოხვეული ცრუ დიმიტრი პირველის, მეორის, მესამის პოლიტიკური შოუ. ყოველივე მთავრდება მიხეილ თევდორეს ძე რომანოვის გამეფებით. მიხეილს ცვლის ალექსი, შემდეგ მისი ვაჟები თევდორე, ივანე და პეტრე.

ალექსი მიხეილის ძე

მანამდე დავიმახსოვროთ ასეთი ცნობები:

რუსეთი ისეთი „დიდი“ ქვეყანა იყო, რომ მხოლოდ XV-XVI საუკუნეებში მიიერთა სმოლენსკი, ჩერნიგოვია, ბრიანსკი. ბოლოს მოახერხა გაფართოება აღმოსავლეთით და დაეუფლა

მხოლოდ მამათქვენი, დიდი ალექსი მიხეილისძე შედიოდა დაუკითხავად და „ტისიაცკი“.

„ტისიაცკი“?

რუსეთის იმპერიის შემქმნელი პეტრე დიდის განცხადებას დაახლოებით ამ ამბით ახმოვანებდნენ მისი ცხოვრების აღმწერელნი.

სიცხადისათვის უპრიანია თავად რუსეთის სამეფო-სა და იქარსებული წესრიგის შესახებ ზოგიერთი ცნობის დამახსოვრება.

გვერდი აუაროთ პრობლემას: „ეგრეთ წოდებული“ კიევის რუსეთის ისტორია



ყაზანს, ასტრახანს, ციმბირის, ცივილიზაციას
მოწყვეტილ, მხარეს. დიდი
მცდელობის მიუხედავად
(მხედველობაშია ლივო-
ნის ომი (1558-1583წ.წ.)

და შვედეთთან ომი (1656-
1661წ.წ.) რუსეთმა ბალტი-
ის ზღვის სანაპიროებს ვერ
მიაღწია, ამას ემატებოდა
თურქეთის იმპერიის მიერ
შავი და აზოვის ზღვების
ჩაკეტვა რუსეთისათვის.

რუსეთის სამეფო ის-
ეთი „დიდი“ და მძლავრი
იყო რომ ყირიმის ხანმა
დევლეთ გირეიმ 1571 წ.
24. მაისს მოსკოვი აიღო,
გადაწყვეტილი და რუსებს მკაც-
რი პირობები წაუყენა.

კერძოდ, ივანე მრიხსანეს
მიერ დაპყრობილი, ყაზა-
ნისა და უფრო სამხრეთით არსებული ასტრახანის დაბრუნება
თათრებისათვის.

იმ დროს ყირიმი და კავკასიონის ჩრდილოეთი მხარე
თათრების საბატონო იყო. დიდი რუსი ისტორიკოსი ვასილ
ტატიშჩევი ყირიმელებს და ადილეველებს, ყაბარდოელებს,
აბაზინებს, (ჩერქეზების საერთო სახელით ცნობილ ტომებს),
თათრულ წარმოშობისად მიიჩნევდა. ცნობა, რომ ადილეველები
შავი და აზოვის ზღვების ჩრდილო მხარედან გადმოსახლდნენ
ყუბანისპირეთში, შეიძლება მათ საერთო წარმომავლობაზეც
მიუთითებდეს.

ასეა თუ ისე, თათრები მოკავშირეობდნენ თურქებთან





დედოფლალი მარია მილოსლავსკაია

(მეფე ალექსი მიხეილის ძის

პირველი ცოლი)

სობრიობის ცვლილებას გამოიწვევს. რუსეთში, რუსებისა და გარუსებულების რაოდენობრივმა ცვლილებამ, დღის წესრიგში დააყენა რუსეთის თვის სობრივი ცვლა. 17 ს. მეორე ნახევარში რუსეთის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა მომზიფებული იყო.

მეცნიერება გვასწავლის; საზოგადოების ხელმძღვანელს შეუძლია დააჩქაროს განვითარება, შეაფერხოს ან უკან დასწიოს, იმის მიხედვით, როგორ ესმის მას ობიექტური კანონზომიერება.

17 ს. რუსეთში ასეთი იყო მდგომარეობა:

სახელმწოდოს სათავეში იდგა შეუზღუდავი ძალაუ-

და საერთო ძალით ხელყოფდნენ რუსეთის წინსვლას. რუსეთი მტრებისაგან ჩაკეტილი, საერთო ცივილიზაციას მოწყვეტილი ქვეყანა გახლდათ. მონღოლურთათრული დანატოვარი, თუნდაც გადარუსებული, ვრცელ და ხალხმრავალ სახელმწიფოს აღარ აკმაყოფილებდა.

ლიტვის დიდი სამთავროს, ტევტონთა ორდენის, პოლონეთისა და სხვათა სათამაშო რუსეთი ისტორიულ ნარსულს ბარდებოდა. მართალი იყო გეორგ ვილჰელმ ჰეგელი, როცა ამტკიცებდა: რაოდენობრივი ცვლილება, თვი-



ფლების მქონე მეფე. მეფეს ემ-სახურებოდნენ, „ბოიარები“ (თავადები). რამდენადაც სიასამურის ბეწვეულის რაოდენობით იზომებოდა სიმღიდოები, ისინი შემოსილნი იყვნენ ამ ტყავით. თავზე მაღალი ბეწვის ქუდები ეხურათ და წვერმოშვებულები, მოღვაწეობდნენ მეფის კარზე, ასე ისხდნენ სათათბიროში. მეფე „ბოიარების“ მეშვეობით განაგებდა „პრიკაზებს“ (სამინისტროებს).

მათ გარდა, მეფეს ჰყავდა „ოკოლნიჩები“, „დიაკები“ და „ვოევოდები“. „ოკოლნიჩები“ როგორც წესი საზღვრისა-ირა სამხედრო-სამოქალაქო დასახლებებს განაგებდნენ და საჭიროების მიხედვით ელჩების მოვალეობას ასრულებდნენ. „დიაკები“, „პრიკაზჩიკებად“ ინიშნებოდნენ და სახელმწოფოს მსხვილ მოხელეთა წრეს ქმნიდნენ. მათი მეშვეობით ხორციელდებოდა „პრიკაზების“ საქმიანობა. „ვოევოდები“ სამეფოს ცალკეულ პროვინციებს განაგებდნენ. ისინი სამი წლით ინიშნებოდნენ.

რუსთა სულიერ ცხოვრებას ეკლესია განაგებდა... 1587 წ. დააწესეს პატრიარქის თანამდებობა. იგი მეფის დასაყრდენს წარმოადგენდა უუფლებო მასის უდრტვინელი მორჩილების საქმეში. ეკლესია სანაცვლოდ უხვად იყო დასაჩუქრებული მეფისაგან. გამორჩეული მაინც, 15 საუკუნეში სერგი რადონეჟელის მიერ დაარსებული, სამების ლავრა (მონასტერი-ციხე-სიმაგრე) გახლდათ. მის მფლობელობაში ათასობით ჰეტარი მიწა და ასი ათასზე მეტი ყმა ითვლებოდა. მონასტერს არქიმანდიტრი განაგებდა. გადმოცემით, პირადად მას 180 კაცი



ჰეტრე I დედა –
დედოფლი ანასტასია
კირილეს ასული ნარიშკინა



მეფე ალექსი მიხეილის ძე ცოლად ირჩევს ნატალია
ნარიშკინას. ელვალე, გრავიურა, 1840 წელი.

ემსახურებოდა, ფეხსაცმელი ბრილიანტებით შემკული ჰქონდა, მიირთმევდა უნგრეთიდან მისთვის ჩამოტანილ ღვინოს. არ იკლებდა ამქვეყნიურ სიამოვნებას, რათა უკეთ ელოცა იმქვეყნად გასტუმრებულთა სულებისათვის.

რუსთა ძირითადი მასის (ყმა-გლეხთა და მსახურეულთა) უფლებებზე თუ უუფლებობაზე მსჯელობა კი არა, გაფიქრებაც მკრეხელობა იყო.

სურათის სისრულისათვის, სამეფოს სამხედრო ცხოვრებაზეც. რუსეთი ფეოდალურ ჯარს ეყრდნობოდა. 1551 წ. მეფე ივანე მრისხანემ შექმნა 40 ათასიანი მსროლელების („სტრელეცების“) პოლკები. აქედან 15 ათასი მოსკოვს იცავდა და მეფის ბრძანებებს ასრულებდა. „სტრელეცების“ (მსროლელება) მემკვიდრეობითი მოვალეობა იყო. შვილს არ შეიძლება ნაკლები თანამდებობა მიეღო, ვიდრე ეკავა მამას. ვის სჭირდებოდა პირადი გამორჩეულობა. მეფის სურვილი იყო კანონი ყველა-სათვის. რუსებისათვის კი კანონი, – კანონია.



რუსეთის რეფორმატორი
იმპერატორი
პეტერ პირველი

კახეთის უფლისწული ერეკლე,
რუსეთში ცნობილი
ნიკოლაი დავიდოვიჩის სახელით,
შემდგომში კახეთის მეფე
ერეკლე I, გამუსულმანების შემდეგ
ეწოდა ნაზარ ალიხანი

გვამცნობენ: პეტერ დიდის მამა ალექსი მიხეილის ძე რომანოვი, საკმაოდ განათლებული და კულტურული პიროვნება იყო. ბუნებით კეთილი და ღმობიერი, მტრებს, მეამბოხებს და დამნაშავეებს მკაცრად უსწორდებოდა. დიდი ოჯახის მამა (ჰყავდა 14 შვილი, 6 ვაჟი და 8 გოგო) სამეფო კარის წესის თანახმად მაინც განმარტოებულად ცხოვრობდა. სამეფო რეზიდენციის (კრემლის) ქალთა ნაწილში ასევე კარჩაკეტილი იყო დედოფალი. ასევე იზრდებოდნენ შვილები.

ალექსი მეფე გრძნობდა ცხოვრების ასეთი წესის მონალიურ ხასიათს. ცდილობდა ევროპული მიღწევების გაგებას და გაზიარებას. ამის გამო დაიახლოვა „ბოიარი“ არტამონ სერგის ძე მატვეევი, რომლის მეუღლე შოტლანდიელი პამილტონების გვარის წარმომადგენელი იყო და ოჯახიც ევროპულ ყაიდაზე



პეტრე I ნახევარძმა –
მეფე ოვდორე III ალექსის ძე

ბოდნენ იოპან მონსის ღვინის სავაჭროში, დროს ატარებდნენ, თათბირობდნენ. ჰქონდათ კათოლიკოსი კულესია.

რუსები ჯერ კიდევ მონღოლური ბატონობისას დანერგილი წესებით ცხოვრობდნენ. მათთვის უცხო იყო ევროპული ცივი-ლიზაცია. არ ესმოდათ რა ენა, ევროპელებს კუკუშკებს (გუგულებს) ეძახდნენ, დასახლებას კი „კუკუი-ქალაქს“. კათოლიკობა კიდევ უფრო უცხო და მიუღებელი იყო მართლმადიდებელი რუსებისათვის, მით უფრო, რომ იმ დროს (17ს. შუა პერიოდში) იწყო ჩამოყალიბება ე.წ. „სტაროვერების“ რელიგიურმა მიმდინარეობამ. რუსეთი ააფორიაქეს „მოლოკების, დუხობორების, ხლისტოვშჩინის“ მიმდევრებმა.

იმართებოდა. ინგლისიდან, კრომველის დროს, სისხლიან გარჩევებს ბევრი გამოექცა. მათ შორის ჰამილტონები, ლესლი, გორდონი და სხვა. იმ დროს, კრემლთან ახლოს მდ. იაუზის ნაპირას (ახლა ეს მდიანრე ბეტონითაა გადახურული) იყო გერმანელების დასახლება. უცხოტომელები იქ ერთად იყვნენ და პატარა ევროპას ქმნიდნენ. შოტლანდიელი, ინგლისელი, ჰოლანდიელი, შვეიცარიელი, გერმანელი არისტოკრატები რუსების გაკვირვებასა და პატივისცემას იმსახურებდნენ თავისი ცოდნის, პატიოსნების, მოწესრიგებულობის გამო. ისინი ევროპიდან იწერდნენ წიგნებს, გაზეთებს და იყვნენ მსოფლიო მოვლენების კურსში. მოღვაწეობდნენ როგორც ექიმები, ფარმაცევტები, მასწავლებლები, ინჟინერ-ხელოსნები, ვაჭრები. ჰქონდათ თეატრი, იკრიბებოდნენ იოპან მონსის ღვინის სავაჭროში, დროს ატარებდნენ, თათბირობდნენ. ჰქონდათ კათოლიკოსი კულესია.



ალექსი მეფე
ხელს უწყობდა ევ-
როპელების რუსეთ-
ში ჩასახლებას და
თავადაც ზოგჯერ
ს ტუ მრობდა ა
არტამონ მატვეევს.
არტამონს ცოლის
გავლენით სახლი
და სახლეულობა
ევროპულ ყაიდაზე
ჰქონდა მოწყობილი
და ჩატარებული. ჰქონ-
და საკუთარი ბიბ-
ლიოთეკა, ქიმიის
ლაბორატორია და
ბატარა საოჯახო
თეატრი. მეფე არტა-
მონის გარემოში ის-
ვენებდა.

ალექსი მეფეს
ასევე უყვარდა მოს-
კოვის გარშემო სოფლების : კოლომენს კოე, ვორობიოვო,
იზმაილოვო, პოკროვს კოე, სემიონოვს კოეს მონახულება –
მონადირება. რაც შეეხება სოფ. პრეობრაუნს კოეს, აქ სამეფო
რეზიდენცია იყო მოწყობილი.

მიუხედავად მეფის ინტერესისა, კრემლი მაინც ნახევრად
მონღოლური წესით ცხოვრობდა. მეფე ცალკე, ქალების განყო-
ფილება (მეუღლე, დედა, დები, შვილები) ცალკე, ჩაკეტილები.
ქალების განყოფილებას გარედან კაცები იცავდნენ, შიგნით
მხოლოდ ქალები ემსახურებოდნენ. მათთან მეფის დაუკითხა-
ვად შესვლა სიკვდილის ტოლფასი იყო. ეკლესიაშიც კი ქალები
დახურული კარეტით მიდიოდნენ, ცალკე შერჩეული გზით,



პეტერ I ნახევარდა, რუსეთის მმრართველი
რეგენტი პეტერს სრულწლოვანებამდე – სოფია
ალექსის ასული



სტრელცები

რათა შემთხვევით მამაკაცებს არ გადაყროდნენ. თვით ექიმ-საც არ ჰქონდა ავადმყოფი ქალის (მეუღლის, დის) ხელით შეხების უფლება. უკიდურეს შემთხვევაში ავადმყოფს ქსოვილს გადააფარებდნენ და

ექიმი ისე სინჯავდა.


მეფის კარზე არსებული წეს-ჩვეულებათა და რელიგიურ-პოლიტიკური მოსაზრებების გამო ევროპელი მეფეები უარს ამბობდნენ რუსეთის მეფესთან დამოყვრებაზე. ამან აიძულა რუსები, გადმოელოთ ბიზანტიისაგან მეფის საცოლის შერჩევის წესი. კრემლში, ცალკე განყოფილებაში, შეეკრიბათ სასურველი ქალწულები და შემდეგ დაკვირვება – შესწავლის გზით შეერჩიათ საუკეთესო. არის ცნობა, რომ მეფე ივან ვასილის ძის (1435-1505 წ.წ.) ვაჟისათვის დანიის მეფეს სთხოვეს ქალიშვილი. არა მხოლოდ მან, ბრანდერბურგის მარკგრაფმაც უარი განუცხადეს რუსებს, მაშინ ხუთასი ლამაზმანი „გასინჯეს“ კრემლში და მომავალი დედოფალიც ამ გზით შეარჩიეს.

ალექსი მიხეილის ძე რომანოვი ევროპული ცხოვრებსი წესით ინტერესდებოდა, მაგრამ რუსად ცხოვრობდა. ევროპას მოწყვეტილი, თურქებისაგან შეწუხებული, იგი ცდილობდა ალყის გარღვევას და ამ ხაზით ერთ შესაძლებლად მას მართლმორწმუნე ივერიასთან (ძირითადად კახეთის მეფესთან) კავშირის დამყარება მიაჩნდა. მართლმადიდებლური რუსეთის, მართლმადიდებლურ ივერიასთან დაახლოების საწინააღმდეგო



რუსეთის საერო და სასულიერო საზოგადოებას არაფერი ჰქონდა. ივერიის მეშვეობით კი ბევრი სასიკეთო შეიძლებოდა მომხდარიყო.

ძნელია მარჩიელობა, რა აზრები ან უხებდა ჭკვიან მეფეს, როცა 1650 წ., ელჩების (ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იველევის) მეშვეობით, თეიმურაზ I შვილიშვილის ლუარსაბის ან ერეკლეს მოსკოვში გაშვება მოსთხოვა. ალექსი მეფემ კარგად იცოდა, რომ იმერეთში გადახვეწილ კახეთის მეფედ ყოფილ თეიმურაზ I, მძიმე წარსული და უიმედო მომავალი ჰქონდა. დედა და შვილები, სპარსეთის შაჰმა აბას I დაახოცინა. ქალიშვილი დარეჯანი, ჯერ ზურაბ არაგვის ერისთავს მიათხოვა (გიორგი სააკაბის რჩევით), შემდეგ იმავე დარეჯანის მეშვეობით სიძე ზურაბი მოაკვლევინა და დაქვრივებული იმერეთის მეფე ალექსანდრეს მიათხოვა. ვაჟი დავით ქართლისათვის ბრძოლას შეეწირა. თავად თეიმურაზი შვილიშვილებით (ლუარსაბი, ერეკლე, ქარევანი) იმერეთში აფარებდა თავს. სწორედ აქ მოსთხოვეს რუსეთის ელჩებმა ერთი შვილიშვილის მოსკოვში მივლინება. ბოლოს თეიმურაზ I დათანხმდა უმცროსის, ერეკლეს, გამგზავრებას. ერეკლეს თან გაპყვა დედა, ელენე ლევანის ასული და ასამდე ქართველი საერო და სასულიერო პირი. ამის შემდეგ მოსკოვში ერეკლე ხდება ნიკოლაი დავიდოვიჩი, ხოლო ელენე, – ელენა ლეონტიევნა. ასეთია რუსეთში მათი ცხოვრების თავისებურება. (ბათონ ვახტანგ ტატიშვილს აქვს სპეციალური კვლევა ჩატარებული ამავე საკითხებთან დაკავშირებით



სოფთა ალექსის ასულის 1689 წელს ნოვოდევიჩის მონასტერში გამოკეტვის ამსახველი მინატურა



ფასეული ცნობები დაგვიტოვეს ბატონებმა ნიკო ტარსაიძემ და ნოდარ ნაკაშიძემ.

მკვლევართა მტკიცებით, იმ დროს მოსკოვში ციმბირელ მმართველთა ორი წარმომადგენელი იზრდებოდა ნიკოლოზმა (ერეკლემ) თავიდანვე დაჩრდილა სხვა მეფეთა შვილები. იგი მუდმივად ალექსი მეფის გვერდით იყო ომშიც, ლხინშიც, სალოცავშიც. მეფეს პირველი ცოლისაგან (მარია ილინიშვანი მილოსლავსკისაგან) 14 შვილი ჰყავდა. რატომდაც გოგონები საკმაოდ ჯანმრთელები, ხოლო ბიჭები ავადმყოფები. შვილმრავალ მეფეს, შვილებს, „ნიკოლაი დავიდოვიჩი“, (ერეკლე I), ერჩია. უამთა აღმწერნი გვაუწყებენ, რომ მეფე და პატრიარქი შეთანხმებულად სწავლობდნენ და ზრდიდნენ ივერიის მეფისწულს. არავინ იცის რა ედოთ გულში რუსეთის მმართველებს. როცა მოსკოვში აგზავნიდა თეიმურაზ I ფიქრობდა, რომ მისი პატარა იმედი - ერეკლე შეიძლება ალექსი მეფის დის ტატიანას საქმრო გამხდარიყო. რას ფიქრობდა თავად ალექსი რომანოვი?

ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ყმაწვილი ერეკლე პოლონელების წინააღმდეგ წარმოებულ ომში ახლდა ალექსი მეფეს. სწავლობდა რუსული და მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო ხელოვნებას, იზრდებოდა და იწვრონებოდა ევროპული

ყაიდის მეფედ გახდომისათვის. სამეფო პატივს მაიგებდნენ დედამის ელენა ლეონტიევნასაც, რომელი სამეფოსათვის ამზადებდნენ მეფე და პატრიარქი ნიკონი ივერიელ მეფისწულს, უცნობია.

თავად ალექსი მეფეს, 14 შვილის მამას, ორმოც წელს გადაცილებულ, ავადმყოფობით შენუხებულ მამაკაცს, 1667 წ. მოუკვდა შვილების დედა, დედოფალი მარია მილოსლავსკაია. იმ დროს, გარუსებული პოლონელი მილოსლავსკები,



პეტრე I მოჭრილი მონეტები



ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდნენ და მდგო- მარეობის გამოყენებაც კარ- გად იცოდნენ.

დაქვრივების მომენტი- სათვის ალექსი მეფეს ხუთი გოგო და ორი ბიჭი დარჩა. ისე მოხდა, რომ ორივენი გამხ- დარი, ავადმყოფური გარეგ- ნობისანი იყვნენ. ამასთან უმცროსი, ივანე, ნახევრად ბრმა და ჭკუა სუსტი გამოდგა. ამბობენ, რომ 6 წლის ასაკში ლაპარაკიც უჭირდა.

რა ექნა 42 წლის ჭკვიან მეფეს? მისი და წინაპრების მცდელობით მოპოვებული ვრ- ცელი რუსეთის სამეფო ვისთვის უნდა ჩაებარებინა და იმედი ჰქონდა რომ ქვეყანა წინსვლას გააგრძელებდა? ამავე დროს მის გვერდით იდგა შვილივით ნაზარდი, ძმასავით ერთგული, ერთმორწმუნე, ივერიის მეფეთა მემკვიდრე ნიკოლოზი. საშუა- ლოზე მაღალი, მხარ-ბეჭიანი, შავგვრემანი ნიკოლოზი (ერეკლე) არა მხოლოდ სწავლობდა სახელმწიფო მართვის საქმეს, არამედ ფიზიკურადაც მუდმივად ვარჯიშობდა სამხედრო ხელოვნე- ბაში. მის სამშობლოში მეფე ისევე იბრძოდა და სისხლს დვრიდა, როგორც ნებისმიერი მეომარი. ამიტომ კიდევც გაოცდა, როცა ნახა, რომ რუსეთის მხედართმთავრობა ომს შორიდან ხელმძღ- ვანელობდა და თავს ხიფათში არ იგდებდა.

დაქვრივებული მეფის წინაშე საქვეყნო და საოჯახო მძიმე პრობლემები დაგროვდა. იგი ბევრს ფიქრობდა და ცოტას ლაპარაკობდა. იშვიათად არტამონ მატვეევთან სტუმრობისას ცდილობდა საფიქრალისგან გაქცევას. ერთი ასეთი სტუმრობის დროს ნახა ქვრივმა გარუსებული თათრის, ღარიბი, „ბორია-



იმპერატორი პეტრე I



ბატონიშვილი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი – პეტრეს სიყრმის მეგობარი. რუსეთის პირველი ფელლცემაისტერი.

რის“, კირილე ნარიშკინის 18 წლის ასული ნატალია. მეფის ყურადღება მიიპყრო იმდენად არა გოგონას თავისუფალმა, ტემპერამენტიანმა ქცევამ, რამდენადაც გარეგნობამ. მართალია ზოგი ცნობით ნარიშკინები ჩეხური წარმომავლობისანი არიან, მაგრამ უფრო მართებული უნდა იყოს მათი თათრული ფესვებიდან მომდინარეობა. ნატალია კირილეს ასული ლამაზი შავგვრემანი ქალიშვილი გახლდათ. ალექსი მეფის პირველი ცოლი თუ ქერათმიანი იყო, თავადაც დაბალი, მსუქანი, ბალნიანი და სახელაუღაუა, რა გასაკვირია, რომ შვილებიც ამდაგვარები გამოვიდნენ. ნატალია კი შავგვრემანია, ისევე, როგორც მისი აღზრდილი ივერიელთა უფლისწული.

ვინ იცის რა იდეა დაიბადა მეფის გონებაში. ცნობილი ისაა, როცა ქალიშვილს გამოელაპარაკა „ხუმრობით“ უთხრა, რომ საქმროს თავად შეურჩევდა. რეიტერთა პოლკოვნიკ კირილე ნარიშკინისათვის ეს დიდი პატივი იყო. ხუმრობა საქმეა? ხელმოკლე კირილეს ასული შეძლებული ახლობლის, არტამონ მატვეევის ოჯახში იზრდებოდა და აქ იგი თავად მეფემ შეამჩნია. ბოლოს მეფემ ნატალიას ცოლად მოყვანის სურვილიც გამოთქვა.

გადმოცემის თანახმად არტამონ სერგის ძე მატვეევი, ნატალიას მფარველ-აღმზრდელი, მეფის გავლენიანი მოხელე გახლდათ. მას ებარა საგარეო და ფინანსური საქმეები. იგი ასევე ითვლებოდა მსროლელების (სტრელეცების) უფროსად. მისთვისაც დიდი პატივი იყო მეფის სურვილის გამუღავნება. მხოლოდ სოხოვა, რუსული ტრადიციის მიხედვით მოეწყოთ



სადედოფლოს შერჩევა. ალექსი მეფე დათანხმდა.

შედეგად, კრემლის 7 პალატაში თავი მოუყარეს სამეფოში შერჩეულ 70 ქალიშვილს. ამბობენ რომ 7 თვის მანძილზე მიმდინარეობდა სადედოფლოს კანდიდატურის შერჩევა. პერიოდულად, მეფე დანიელ ფონ გადენის თანხლებით, აწარმოებდა მათზე დაკვირვებას. რა სახის იყო შესწავლა-შერჩევა, არავინ უწყის, რადგან იქ სხვას არავის უშვებდნენ. იმასაც ამბობენ, რომ ალექსი რომანოვი და დანიელ ფონ გადენი აკვირდებოდნენ რა ქალიშვილებს, შთაბეჭდილებას ერთი-მეორეს უზიარებდნენ. იმასაც ამბობენ, რომ სადედოფლოს შერჩევის პროცედურა ფორმალური იყო, რადგან მეფემ ყოველივე წამოიწყო შავგვრემანი ნატალიას ხილვის შემდგომ და არჩევანიც სწორედ მასზე შეაჩერა. ასე იყო თუ ისე, 22.01.1671 წ. ქორწილი გადაიხადეს. ნატალია კირილეს ასული გახდა ალექსი მეფის მეორე ცოლი და რუსეთის სამეფოს დედოფალი.

უპრიანია რუსეთში არსებული კიდევ ერთი წეს-ჩვეულების გახსენება. საქმე ქორწილს ეხება. ქორწილს, როგორც მიღებული იყო ხელმძღვანელობდა ე.წ. „ტისიაცკი“. დღეის გადასახედიდან „ტისიაცკის“ ფუნქციებისა და უფლებამოსილების განსაზღვრა რთულია. იგი იყო ერთდროულად ნეფის მამა, ქორწილის ხარჯის გამდები, მეჯვარე, ცერემონიის წარმმართველი, ნეფე-დედოფლის სანთიპოში გამცილებელი, უფლებამოსილი დაუკითხავად შესულიყო, როგორც ნეფის, ასევე დედოფლის საცხოვრებელ პალატებში.

მეფე ალექსის თხოვნით, მისი ქორწილის „ტისიაცკი“ გახლდათ 25 წლის „ნიკოლაი დავიდოვიჩი“ (უბრალოდ, ქართველები-



არჩილ მეფე



ბოიარი არტამონ მატვეევი

დაუბრკოლებლად შესვლის უფლება.

რა ხდებოდა, რატომ, რა იყო მეფის ჩანაფიქრი, ამას ჭკვიანი მარჩიელი თუ მიხვდება.

რუსეთისათვის არსებითი ის იყო, რომ ერთი წლის შემდეგ 1672 წ. 30 მაისს, იშვა ბიჭი, ჯანმრთელი და გოლიათი. „ტისიაცკიმ“, როგორც წესია, პირველმა მიულოცა მეფეს, საჩუქრები მიართვა და საზეიმო სიტყვა წარმოთქვა (იგი თავისუფლად მეტყველდა სპარსულად, ბერძნულად და რუსულად, ნერით კი მხოლოდ ქართულად წერდა). გასაგებია აღექსი მეფის სიხარული, როგორც იქნა მას სრულიად ჯანმრთელი ძე ეყოლა. დაიბადა რუსეთის იმედი.

აქ კიდევ ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი. როგორც წესი, „ტისიაცკი“, გნებავთ მეჯვარე უნდა იყოს პირმშოს ნათლია. ნიკოლაი დავიდოვიჩის, არ თუ ვერ ანდეს ნათლიობა და 29.06.1672 წ. პეტერების დღესასწაულის დროს პატარა,

სათვის ცნობილი, კახეთის მეფე ერეკლე I). ზრდა-დასრულებული, ტანმა-ლალი, ლამაზი და ჭკვიანი ივერიელი უფლისწული ალექსი მეფის უახლოეს პიროვნებად ითვლებოდა. ნებისმიერი თავყრილობის დროს მეფის ერთ მხარეს პატრიარქი უნდა მჯდარიყო, მეორე მხარეს „ნიკოლაი დავიდოვიჩი“. იგი გაუძღვა წინ ქორწილიდან დასასვენებლად წასულ ნეფე-პატარძალს. მეფის ბრძანებით, მას ერთად-ერთს ჰქონდა დედოფლის „მოსანას ულებლად“



უფროსმა ძმამ ავადმყოფმა თევდორემ მონათლა. მოსკოვი ზეიმობდა და მოზეიმე მეფემ ეს პასუხსაგები მისია უფროს ვაჟს, მის უშუალო მემკვიდრეს დააკისრა. თევდორესთან ერთად ნათლია გახდა აღექსის და ირინა მიხეილის ასული, პატარას მამიდა. ნათლიობა თავად პატრიარქმა ჩაატარა ჩუდოვოს მონასტერში. პეტრე-პავლობის დღესასწაულზე პატარას პეტრე უწოდეს. მზრუნველებად ქალებისა და კაცების მთელი გუნდი განუმნესეს უმაღლესი არისტოკრატიული ოჯახებიდან.

ალექსი მეფის მეორედ ქორწინებას და შემდეგ, გამორჩეულად ჯანმრთელი მემკვიდრის დაბადებას, ლოგიკურად მოჰყვა პირველი ცოლის ახლობლების გავლენის შესუსტება და მეორე ცოლის ნათესავების აღზევება. არტამონ მატვეევმა და კირილე ნარიშკინმა „ოკოლნიჩების“ თანამდებობები მიიღეს. დამატებით, კირილე პოლუექტოვიჩი, ტახტის „ბოიარობასაც“ დაეუფლა.

ალექსი მეფე არ მალავდა სიხარულს ჯანმრთელი ვაჟის დაბადების გამო. პატარა პეტრეს მოოქროვილი საბავშვო ეტლით დაატარებდნენ, რომელშიც პატარა ცხენები ებათ. არავინ იცის როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა დრო. ნათქვამია: დრო ყველაფრის მკურნალია. არ დაიჯეროთ. დრონმა ბევრი რაიმეს წახდენაც იცის, დიახ! იზრდებოდა უფლისწული და თვალში საცემი ხდებოდა მისი მსგავსება შემქმნელთან. ხმამაღლა ვინ გაბედავდა თქმას, მაგრამ პირზე



ივანე V ალექსის ძე – პეტრე I ნახევარმა.



კლიტესაც ვერავის დაადებდნენ. უნებლიერ გასახსენებელია, ცნობილი ავლიბი ზურაბიშვილის, ნათქვამი: მე ძალიან მიყვარდა ჩემი მშობლები, განსაკუთრებით დედა და მამა. ეს უფრო დასაფიქრებელი ნათქვამია, ვიდრე გასაცინებელი. პეტრეს გარეგნობისა და ქცევის შემხედვარე, ზოგი თუ გაიცინებდა, მეტი დაფიქრდებოდა. რომ რაც შეიძლება ნაკლებს გაეცინა, ჭკვიანმა ალექსი მეფემ მიიღო რადიკალური გადაწყვეტილება: უახლოესი და უსაყვარლესი ნიკოლაი დავიდოვიჩი 1674 წ. თებერვალში, მოულოდნელად ყოველგვარი პატივის გარეშე მოსკოვიდან და საერთოდ რუსეთიდან გააძევეს. მიზეზი? ვანგასავით ნათელმხილველობა არაა საჭირო მისახვედრად.

იმ დროს კახეთში მეფობდნენ არჩილ ვახტანგის ძე და ერეკლეს და, თურქების ტყვეობიდან თავდახსნილი ქეთევანი. ერ-



1704 წ. პეტრე I ნარვისთვის ბრძოლაში



ეპლე I ჩავიდა კახეთში, იქიდან დასთან და სიძესთან შეთანხმებით სპარსეთში, მეფობის მოსაპოვებლად. ესეც ბედის ირონიაა. კახელი ერეკლე, რუსეთში ნიკოლაი დავიდოვიჩი და სპარსეთში ნაზარ-ალი ხანი ხდება. ჭეშმარიტად ძალა აღმართსა ხანვს. არის ცნობა, რომ მას დედოფალმა ნატალია კირილეს ასულმაც გაუგზავნა წერილები და ბოლოს სასიკვდილოდ დაავადებულმა ალექსი მეფემაც სთხოვა შერიგება. შერიგება ვერ მოხერხდა. 29.01.1676 წ.

მეფე ალექსი მიხეილის ძე რომანოვი გარდაიცვალა. დარჩა 14

წლის ავადმყოფი თევდორე, 10 წლის გონება და მხედველობა სუსტი ივანე, 3 წლს გადაცილებული უჯანმრთელესი პეტრე. ქალიშვილებიდან, უფროსი სოფია 20 წლის.

ტახტის მემკვიდრეობის წესის თანახმად მეფედ თევდორე ალექსის ძე გამოაცხადეს. თუმცა ახალმა მეფემაც კარგად უწყოდა, რომ მამა მის უმცროს ძმას და მის ნათლულ პეტრეს ზრდიდა სამეფოდ.

საერთოდაც, რა მეფობა უნდა გაეწია 14 წლის ავადმყოფ ყმანვილს, რომელიც გასიებული ფეხების გამო, იძულებული იყო ტახტრევანში ჩასვენებულს გაეცილებინა მამა უკანასკნელ გზაზე. არ შეეძლო და ვერც ვერაფერი შემატა სამეფოს.

სანაცვლოდ, კარგად ისარგებლეს დედის ნათესავებმა. მილოსლავსკებმა დედოფალ ნატალია ნარიშკინას ახლობლები დააჩიმორეს, პრივილეგიები ჩამოართვეს. მეფის უახლესი მრჩეველი არტამონ მატვეევი დააპატიმრეს და გადაასახლეს. თავად ნატალია დედოფლის მონასტერში გამწესებაც მოინდომეს,



ვასილ ვასილისძე გოლიცინი



1682 წლის სტრელცების აჯანყება, მხატვარი ა. კორზუხინი (1882 წ)

მაგრამ თევდორე მეფემ ხასიათი გამოაჩინა. უამთა ამწერნი ამბობენ, რომ თევდორე უმცროს ძმასა და საკუთარ ნათლულს, პეტრეს მფარველობდა, ხოლო ნატალია დედოფალს სიმპატიით ექცეოდა. ამიტომ ისინი რეპრესიებს გადაურჩნენ. უფრო მეტი, თევდორე მეფემ მოითხოვა, რომ პეტრესათვის წერა-კითხვა ესწავლებინათ ლოცვასთან ერთად. დიაკი ნიკიტა ზოტოვი მიუჩინეს მასწავლებლად.

თევდორე მეფემ კიდევ ერთი სასიკეთო გადაწყვეტილება მიიღო. ადგილმონაცვლეობის წესი გააუქმა 1681 წ. ამ წესის თანახმად შვილს შეეძლო მამა შეეცვალა სახელმწიფო სამსახურში. არა პქონდა მნიშვნელობა პირად ცოდნასა თუ დამსახურებას. წესის გაუქმება საშუალებას აძლევდა ადამიანს დაეკავებინა თანამდებობა არა წარმომავლობის, არამედ დამსახურების მიხედვით.

27.04.1682 წ. ახალგაზრდა მეფე თევდორე წავიდა იმქვეყნად ისე, რომ შვილი არა ჰყოლია. ახლობლებს ადრევე გამოუცხადა: მამას რუსეთის მეფობის ღირსად პეტრე მიაჩნდა



და ამ აზრს მეც ვიზიარებო. ახლობლები ცოცხალ თევდორეს დიდ ანგარიშს არ უნევდნენ და მიცვალებულის აზრს, მით უმეტეს, არად ჩააგდებდნენ.

მოვლენებს კი მკვლევარები ასე გადმოსცემენ: მეფის გარდაცვალების გაგებისთანავე სასახლესთან შეკრება იწყეს ბოიარებმა, ვაჭრებმა, მსროლელებმა (სტრელეცებმა). მათთან გამოვიდა პატრიარქი და სიტყვით მიმართა. შესთავაზა აერჩიათ, ვინ სურდათ მეფედ, ავადმყოფი ივანე თუ ჯანმრთელი პეტრე. შეკრებილებმა პეტრე მოითხოვს მეფედ, დედამისი კი დროებით მმართველად. თავად პატრიარქი იოაკიმე პეტრეს მომხრე და მფარველი იყო.

პეტრეს გამეფება მილოსლავსკების კლანის ბატონობის დასასრულს მოასწავებდა. კვლავ ნარიშკინები გახდებოდნენ პრივილეგირებული. ამის დაშვება მილოსლავსკებს არ სურდათ. ალექსი მეფის უფროსი ქალიშვილი სოფია ჩაუდგა სათავეში პეტრეს წინააღმდეგ მოწყობილ არეულობას. მიიმხრეს მსროლელთა (სტრელეცეთა) პოლკების მეთაურები. იმ დროს მოსკოვში 19 პოლკი იყო. მშიერი, უხელფასო სამხედროები საშიშ ძალას წარმოადგენდნენ. სოფიამ მათ ხელფასები და დაპირებები დაურიგა. სწორედ მათი დახმარებით მოახდინეს სასახლის გადატრიალება. პეტრესთან ერთად ივანე გამოაცხადეს მეფედ, მათ მეურვედ (რეგენტად) სოფია დაადგინეს. ნატალია დედოფლის ორი ძმა, არტამონ მატვეევი, და მათი მომხრე ბევრი დიდებული დახოცეს. აზარტში შესულმა მეამბოხებმა შეცდომით ზოგი მომხრეც მიაყოლეს. ასევე შეცდომით შემოაკვდათ სასახლის ექიმი ფონ გადენი. ყოველივე დასრულდა იმით, რომ 25 მაისს, ასაკით უფროსი ივანე პირველ მეფედ ცნეს, თანამეფედ პეტრე. სოფიამ ძმებს მეფის გვირგვინები დაადგა, თავად კი ფაქტიური მმართველი გახდა.

10 წლის პეტრეს თვალწინ მოუკლეს ახლობლები. თუმცა თავად იგი და დედამისი გადარჩნენ, მაგრამ ეს საშინელება პერიოდულად თავს ახსენებდა სიცოცხლის მანძილზე. ისედაც ფიცხი ხასიათის, იგი ზოგჯერ რისხვას ვერ იკავებდა.



ბორის ალექსის ძე გოლიცინი

სოფიამ მთავრობის მეთაურად დააწინაურა თავისი საყვარელი ვასილ ვასილის ძე გოლიცინი. მსროლელების (სტრელეცვების) ხელმძღვანელობა ჩააბარა ივან ანდრეას ძე ხოვანსკის და მის ვაჟს თევდორეს.

პეტრეს ბევრი ახალგაზრდა და შეგნებული არის სტოკორატი მიემსრო. უფლებო მეფემ შეიძულა კრემლი, დედასთან ერთად პრეობრაჟენკის სასახლეში გადასახლდა და დაიწყო მისი თავისუფალი ცხოვრება. აქ იგი თავის ნებაზე იყო

მიშვებული. სოფიას კიდეც უხაროდა, რომ ასე უმტკივნეულოდ მოიშორა ნახევარძმა და მთლიანი მტერი. უფრო სწორად, იცოდა რა სიმართლე, სოფია პეტრეს ძმად არა თვლიდა, მაგრამ ოფიციალურად ვერაფერს ამბობდა. სხვებთან ერთად პეტრეს მხარს გავლენიანი სამღვდელო პირებიც უჭერდნენ პატრიარქის მეთაურობით. საერო პირთა სათავეში კი ბორის ალექსის ძე გოლიცინი და ლევ კირილის ძე ნარიშკინი (პეტრეს დედის ძმა) ედგნენ. ორ ბანაკს შორის იყო ჭიდილი პირველობისთვის.

სოფია, თავად გაუთხოვარი, ზრუნავდა ძალაუფლების შენარჩუნებისათვის. საყვარლის, ვასილ გოლიცინის რჩევით, გადაიფიქრა ძმის, პეტრეს მკვლელობა და სხვა გზა ირჩია. გოლიცინის გეგმის თანახმად, ივანე თუმცა არასრულფასოვანი იყო, მაინც ასაკით უფროსი, პირველ მეფედ ითვლებოდა. თუ ივანეს ცოლს მოუყვანდნენ და ვაჟი შეეძინებოდა, მომავალში მეფე სწორედ იგი გახდებოდა. პეტრე კი, როგორც უმცროსი,



მომავალი მეფის ბიძის მდგომარეობით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ივანე ისედაც ვერ აზროვნებდა, მისი შვილი (თუ ვაჟი იქნებოდა) სანამ სრულწლოვანი გახდებოდა, სოფიას მხრივ მზრუნველობა დასჭირდებოდა.

ამ გეგმის რეალიზაციის მიზნით 1684 წ. იანვარში სოფიამ აიძულა ივანე ცოლი მოეყვანა. შემდეგში კი, როცა არაფერი გამოვიდა, რძალს, პრასკოვია თევდორეს ასულ სალტოვოვას, საწოლში ივანეს შემცვლელი მიუჩინა. ბედის ირონიას კაცი სად წაუვა. ბევრი მცდელობის მიუხედავად, პრასკოვია მხოლოდ გოგონებს ბადებდა.

პეტრე კი პრებრაჟენსკში იზრდებოდა, ომობანას თა-მაშობდა და თამაშ-თამაშით ორი სრულფასოვანი და რაც მთა-ვარია, ერთგული ბიჭებით დაკომპლექტებული პოლკი შექმნა. ამ თამაშებში აქტიურად მონაწილეობდა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი, რუსებში „იმერეტინსკი ცარევიჩიად“ ცნობილი.

საქართველოში ბაგრატიონების მდგომარეობა 17 ს. მეორე ნახევრიდან ძალზე გართულდა. ვითარებამ მოითხოვა და არჩილ III მეორედ მოუვლინა იმერეთს მეფედ. ბედი მეფობაში არ წყალობდა. პირველად იმერეთში 1661 წ. გამეფდა. იქიდან წამოსული კახეთს გამეფდა. ტახტის დაუფლების კანონიერების მიზნით თურქეთში მძევლად მყოფი ერეკლე I და ქეთევანი გამოისყიდეს და არჩილს შერთეს. შემდეგ 1678 წ. მეორედ გამეფდა იმერეთში. აქედან იძულებული გახდა ცოლ-შვილით რუსეთში წასულიყო.

მოსკოვში არჩილის ძე ალექსანდრე მალე დაუახლოვდა პეტრეს და აქტიურად ჩაერთო მის საქმიანობაში. ითქვა, რომ მოსკოვში ალექსანდრე ბაგრატიონი ცნობილი გახდა „იმერეტინსკი ცარევიჩის“ მიმართვით. იგი ქართულ ჩოხა-ახალუხს ატარებდა და ამას გარდა უნდა განესხვავებინათ პეტრე მეფისა-გან, რომელიც თავს მიიჩნევდა ივერთა მეფეების მემკვიდრედ.

ერთი მცირე შტრიხი. მოსკოვის ხელისუფლება, გარკვეული იყო რა ვითარებაში, ყოველნაირად აბრკოლებდა მეფე არჩილისა და განსაკუთრებით მისი მეუღლის, ერეკლე I დის,



პეტებ I ბიძა – ბოიარი ლევ კირილეს ძე
ნარიშკინი

ქეთევანის ჩასვლას მოსკოვში. მათი შვილები, ალექსანდრე და მამუკა (რუსებისათვის მეტვე), ბევრად ადრე მიიღეს და როგორც ითქვა პეტრეს უახლესი თანამებრძოლიც გახდა „იმერეტინსკი“. მამუკა სამწუხაროდ ადრე დაიღუპა. ბოლოს, როცა არჩილი და ქეთევანი (ეკატერინა დავიდოვნა, ასე ეძახდნენ ნატალია დედოფალი და სამეფო წრე), დაეფუძნენ მოსკოვში, თვალში საცემი გახდა მისი და პეტრეს გარეგნული მსგავსება. შეიძლება ამიტომაც ეწეოდა შედარებით კარჩაკეტილ ცხოვრებას ქეთევან დედოფალი. ვინ იცის?

პეტრე პრეობრა-
უნსკოეს სასახლეში

თითქოს განმარტოებული იყო კრემლის ბინადართაგან, მაგრამ ხიფათი მაინც მოელოდა. კრემლს არ შეეძლო უსისხლოდ არსებობა. იქ სოფიას მომხრეებიც არ ინდობდნენ ერთი-მეორეს.

14. 05. 1684 წ. პოლონელთა ელჩობა ესტუმრა მოსკოვს.
გარკვეული მოლაპარაკებების შემდეგ შედგა თურქეთის სანინაალმდეგო კოალიცია, უნგრეთი, რუსეთის, პოლონეთისა და ავსტრიის მონაწილეობით. დღის წესრიგში დადგა საომარი სამზადისი. განსაკუთრებით ამაღლდა მსროლელთა



(სტრელეცკების) ხელმძღვანელის ივან ხოვანსკისა და მისი ვაჟის თევდორეს ავტორიტეტი. მილოსლავსკები უკვე მათი მხრიდან გრძნობდნენ ხიფათს. ბოლოს მეტოქეობა კონფლიქტში გადაიზრდა. მილოსლავსკებმა ხოვანსკები სოფიასთან დაასმინეს. ხოვანსკი თავს პოლონეთის მეფეთა შთამომავლად მიიჩნევს და გადატრიალებას ამზადებსო... სოფიამ ორივე მეფეს მოჰკიდა ხელი და თავი სამების ლავრას (გამაგრებულ ციხე-მონასტერს) შეაფარა. „ბოიართა“ ჯარების შეკრება დაიწყო. ჭიდილში მილოსლავსკებმა გაიმარჯვეს. ხოვანსკები სიკვდილით დასაჯეს. მსროლელთა (სტრელეცები) ახალი ხელმძღვანელი გახდა თევდორე შავლოვიტი, სოფიას საყვარლის, ვასილ გოლიცინის პროტეფე და ბოლოს მისი შემცვლელი სოფიასთან.

ასე ჩააქრეს მსროლელთა (სტრელეცების) უკმაყოფილება.

ახალ სიტუაციაში კრემლში გადაწყდა: 1) 26. 04. 1686 წ.

პოლონეთმა, როგორც იქნა, სმოლენსკი, ნოვგოროდი, ბრიანსკი, კიევი ცონო რუსეთის შემადგენლობაში; 2) რუსეთი მზადაა ჩაებას თურქეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში (ყირიმის სანთან), როცა ვენეცია, ავსტრია, უნგრეთი, პოლონეთი დაიწყებენ ბრძოლას; 3) მეფე პეტრეს სახელით რუსეთის ჯარის სარდლად დაინიშნა ვასილ გოლიცინი.

რაც სოფია იყო სამეფოს მმართველი, ისეთივე სარდალი გამოდგა ვასილ გოლიცინი. ყირიმის დასაპყრობად მოწყობილი ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა. ამბობენ, დნეპრის კაზაკების მეთაურმა მაზეპამ მოაწყო ისე, რომ გეტმანი სამოილოვიჩი გამოსულიყო დამნაშავე. სამოილოვიჩი გეტმანობიდან გადააყენეს და მაზეპა დანიშნეს. იმასაც ამბობდნენ რომ ივან მაზეპას ეს თანამდებობა ოთხი ყუთი ოქროს მირთმევად დაუჯდა ვასილ გოლიცინთან. თქმა ბევრი რაიმესი შეიძლება.

ამ ომით ავსტრიამ ისარგებლა (რუსების მტკიცებით) და თურქეთი დაასუსტა. ვასილ გოლიცინი სოფიას ბრძანებით „ნარმატებული“ მოქმედებისათვის დაასაჩუქრეს. უკმაყოფილო დარჩა უწლოვანი მეფე პეტრეს მხარე. მიიჩნევდნენ, რომ რუსებმა ყირიმელი თათრები მხოლოდ გააღიზიანეს და საბრძოლოდ გა-



ფრანც ლეფორტი

აღები იყო, ყველაფერი მისაღები იყო, რაც მიზანს ემსახურებოდა. ჭეშმარიტად: მიზანი ამართლებს საშუალებას.

პეტრემ 1684 წ. სერიოზულად მოჰკიდა ხელი ე.წ. სათამაშო პოლკების შექმნას. სახელმწიფო ხაზინიდან ითხოვდა ხარჯებს მათი მოწყობისათვის. იმავე პერიოდში დაინტერესდა გემთმშენებლობით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას საარტილერიო ცოდნასა და პრაქტიკას უთმობდა. ისტორია გვამცნობს, რომ ერთხელ პეტრე „ბოიარებთან“ ერთად მივიდა საზარბაზნე ეზოში და მოსთხოვა მეზარბაზნეებს მიზანში ესროლათ. თავადაც ისროლა. პორუჩიკმა ფრანც ტიმერმანმა ყველას აჯობა. პეტრემ იგი თავისთან წაიყვანა პრეობრაჟენსკოეში და მასწავლებლად დაიყენა. მისგან სწავლობდა გეომეტრიასა და საფორთიფიკაციო საქმეს. მოიპოვა 16 ზარბაზანი და დაიწყო ვარჯიში. სწორედ საზარბაზნე საქმე ანდო უახლოეს ადამიანს აღექსანდრე, „იმერეტინსკის“.

ნაწყვეს. რუსეთს დასჭირდა ბელგორძის სასაზღვრო ხაზის გამაგრება და ხარჯის გაღება შემდგომი ბრძოლის მოსამზადებლად. ვასილ გოლიცინი, როგორც მთავრობის მეთაური და სარდალი, მთლიანად გადაერთო მეორე ლაშქრობის მოსამზადებელ საქმეში.

პეტრე მთელი ამ წლების მანძილზე სწავლობდა სამხედრო საქმეს, ვარჯიშობდა და ემზადებოდა. მისთვის არ არსებობდნენ არისტოკრატები და პლებეები, რუსები და უცხოელები. ყველა მის-



მეფე მთელ თავისუფალ დროს და ენერგიის მაქსიმუმს სამხედრო წვრთნებს ანდომებდა. თავად სამხედრო კარიერა ბატალიონის მედოლის რანგში დაიწყო და მხოლოდ გვიან მიიღო სერუანტობა. ეს არ ნიშნავდა, რომ პეტრე ცხოვრების სხვა სიამოვნებას მოწყვეტილი იყო. იგი ხშირად დადიოდა „კუკუი ქალაქში“, ერთობოდა, ქეიფობდა, ქალებთან დროს ატარებდა... ამ საქმეში მისი ერთგული მრჩეველ-მეგობარი იყო შვეიცარიელი ფრანგი ფრანც ლეფორტი. ბიოგრაფები ბევრს სწერენ პეტრეს სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ, ღვინით მოვაჭრე იოჰან (ივანე) მონსის ქალიშვილ ანასთან. არც იმას მაღავენ, რომ ორიოდეჯერ რქიანმა ქმრებმა კარგად გალახეს. არც იმას, რომ საყვარლებისა და უკანონო შვილების სიმრავლით, მას ვერც ერთი მონარქი ვერ გაუტოლდებოდა. ყველაზე საინტრიგო, დადგენილ-დაუდგენელი მაინც მიხეილ ლომონოსვის საკითხია.

დადგენილად კი ისაა ცნობილი, რომ რუსეთში დაოჯახებული მამაკაცი სრულწლოვანად ითვლებოდა და მეურვისაგან თავისუფლდებოდა, პეტრე სრულწლოვანი 1689 წ. მაისის 30 უნდა გამხდარიყო. ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ საჭირო გახდა ცოლის მოყვანა რამდენიმე თვით ადრე.

როდესაც დედოფალ ნატალიასათვის ცნობილი გახდა მეფე ივანეს ცოლის ორსულობის საკითხი, მომხრეებმა გადაწყვიტეს დაესწროთ



პეტრე I ფავორიტი ანა მონსი



და პეტრე დაექორწინებინათ. ამ ამბავთანაა დაკავშირებული ერთი უცნაურობა. სადედოფლოს ძიების დროს წამოაყენეს „იმერეტინსკის“ დის კანდიდატურა. ქალიშვილი ყოველმხრივ მისაღები უნდა ყოფილიყო რუსეთის მეფის კარისათვის. იგი იყო მართლმორწმუნე და რაც მთავარია მეფის ჩამომავალი. სილამაზეზე აღარაა საუბარი. მკვლევარები დაბეჯითებით მიუთითებდნენ, რომ იმ დროს მოსკოვის საზოგადოება და საზღვარგარეთიდან ჩამოსული უცხოელები არაერთგზის აღნიშნავდნენ ქართველების სილამაზესა და აღზრდილობას. არაა ზუსტი ცნობა რა მოხდა რომანოვების სამეფო ოჯახში, რა ითქვა დედოფალ ნატალიასა, პატრიარქ იოაკიმესა და პეტრეს შორის, მაგრამ შედეგად დაგვრჩა ცნობა: პეტრემ უარი თქვა ქართველი მეფის ასულზე. მოტივი: ბიძაშვილის ცოლად მოყვანა არ შეიძლებაო. (ბიძაშვილის თუ მამიდაშვილის, რუსული ფორმულირება არ აზუსტებს). ცნობილია ისიც, რომ პეტრე თავს მუდამ ივერიის მეფეთა მემკვიდრედ მიიჩნევდა.

ასე იყო თუ ისე, პეტრეს დამოყვრება არჩილ III ოჯახთან არ შედგა და არც შეიძლება შემდგარიყო. ამის შემდეგ პეტრე სრულიად გულგრილი გახდა საცოლის შერჩევის საკითხთან მიმართებაში. დედამ და ახლობლებმა შეარჩიეს ევდოკია თევდორეს ასული ლოპუხინა. 27. 01. 1689 წ. პატარა ქორწილიც გადაუხადეს. 1690 წ. ევდოკიამ ალექსი უფლისწული მოუვლინა რუსეთს... სამეფოს ფაქტიური მმართველი სოფია პეტრეს ქორწინების წინააღმდეგი იყო და ცერემონიალს არც დასწრებია. მან შესანიშნავად იცოდა, ქორწინება პეტრეს სრულწლოვანებას უსვამდა ხაზს და ამიერიდან დის მმართველობა და მეურვეობა ზედმეტი ხდებოდა...

წამოზრდილი პეტრე ისედაც არ ეპუებოდა „მეურვეს“, დაცოლშვილების შემდეგ უარესი იყო მოსალოდნელი. ამიტომ სოფია და მისი საყვარელი დაუბრუნდნენ პეტრეს მკვლელობის გეგმას. თუ გავითვალისწინებთ მეფის მშფოთვარე ბუნებას, დაუდეგარობას, სამხედრო წვრთნების დროს ხიფათს, შეიძლებოდა მკვლელობა შემთხვევითობად გაესაღებინათ. თითქოს



უდარდელი ყმანვილი არ გახლდათ ისეთი მიაშიტი, რომ ხაფანგში იოლად გაებათ. არც მისი მომხრეები თვლემდნენ.

1689 წელი შფოთიანი გამოდგა. სოფიას მხარეს ვასილ ვასილის ძე ედგა სათავეში. მან ოჯახობა პოლონეთში გახიზნა, თავად უკვე თებერვლის თვეში წამოიწყო მეორე ომი ყირიმის სანის წინააღმდეგ. იგი გარკვეულწილად ჩამოშორდა სოფიას ბანაკს. მისი ადგილი მსროლელების (სტრელეცების) უფროსმა თევდორე შაკლოვიტიმ დაიკავა. მან შეადგინა გეგმა, გაენდო პოლკების მეთაურებს და დაიწყო მოქმედება. მიზანი ჯარში უკმაყოფილების გამოწვევა და სამხედრო ამბოხი იყო. ის რაც მოხდა **1682** წ. უნდა განმეორებულიყო ახალ ვითარებაში.

მეფე პეტრეს მხარეც ემზადებოდა. მათ სათავეში დედოფალ ნატალიას უმცროსი ძმა ლევ კირილეს ძე ნარიშვინი და ბორის ალექსის ძე გოლიცინი ჩაუდგნენ.

ბორის ალექსის ძე გოლიცინი იყო ის გონიერივი ცენტრი, რომელიც დასახულის რალიზაციასაც წარმატებით ახდენდა. თავად პეტრე, თუმცა ძველებურად „უდარდელ“ ცხოვრებას აგრძელებდა, მაგრამ ეს ხდებოდა მოპირისპირეთა ყურადღების მოსადუნებლად. იგი იყო ყველა მოქმედების საქმის კურსში. იგი ბორის ალექსის ძეს ენდობოდა და ამბობენ, რომ ხშირად კოცნით ხვდებოდა.

ბორის ალექსის ძე სოფიასთან, კრემლთან ადრე ძალზე დაახლოებული პიროვნებაიყო. მდიდარი, განათლებული, ჭკვიანი და ამავე დროს ხელგაშლილი და მოქეიფე. ბოლო პერიოდში შეიძულა კრემლი და პეტრეს დაუახლოვდა. მან უკარნახა მეფეს პერეიასლავსკის ტბაზე აეშენებინათ ვერფი და დაეწყოთ ფლოტის შექმნა. მან აჩუქა მეფეს არაპი აპრამი. იგი აძლევდა სესხს მეფეს, რომლის დაბრუნების იმედი არა ჰქონდა. „კუკუი ქალაქში“ ხშირად ერთად ქეიფობდნენ და საქმეებს არჩევდნენ. მან შეასრულა გადამწყვეტი როლი სოფიას მმართველობის დასრულებაში.

მოვლენები კი ასე წარიმართა. თევდორე შაკლოვიტიმ ბრძანა გაევრცელებინათ ხმა თითქოს ბორის გოლიცინს და



დედოფალი ნატალია ნარიშკინა აბინტებულ სტრელცებს
წარუდგენს ივანე V, იმაში დასარწმუნებლად, რომ ბავშვი

ცოცხალია და არაფერი ცუდი არ სჭირს.

ფერნერა, ავტორი ნ. დ. დმიტრიევ-ორენბურგსკი.

ლევ ნარიშკინს სოფიას მკვლელობა ჰქონდათ განზრახული.
შიკრიკები დაირაზმნენ. თავად სოფიამ მსროლელებს (სტრელეცებს) განუცხადა: პეტრეს მომხრენი უფროს მეფე ივანეს
არაფრად ავდებენ, მე ქუჩის ქალს მიწოდებენ. თქვენი ვა-
ლია დაიცვათ მეფე და მმართველი. ამავე დროს ერთგულ
პოლკოვნიკებს გადასცა იმათი სია, რომლებიც ამბოხის დროს
უნდა დაეხოცათ.

თევდორე შაკლოვიტიმ აამოქმედა ასეთი ხერხი. ლევ
ნარიშკინის მსგავსი და მასავით ჩატმული ვინმე შოშინი, თანხ-
მლებ პირებთან ერთად, ღამით თავს ესხმოდა დარაჯებს და
უმოწყალოდ სცემდა. შემდეგ ერთი თანმხლები ეტყოდა: ლევ




კირილოვიჩ, ნუ მოკლავ ცემით, მაინც ქრისტიანია. ამით ხმა გავარდებოდა და სამხედროებს პეტრეს მომხრეთა საწინააღმდეგოდ განაწყობდა. პეტრეს მომხრეებმა სამხედროებს აუხსნეს სინამდვილე. უკმაყოფილება ვერ გამოიწვიეს.

სოფია ვითომ დაშინებული, წყალკურთხევის დღესასწაულზე 300 მცველის თანხმელბით მიბრძანდა. თავის მხრივ, როცა პეტრე, კრემლში მივიდა, შაკლოვიტი 50 ჯარისკაცით შეეგება. იყო ფარული ძალის დემონსტრირება.

7 აგვისტოს კი განზრასული გამჟღავნდა. მოსკოვში გამოცხადდა მხროლელების (სტრელეცების) განგაში. შეკრებილებს მოუწოდეს პეტრეს წინააღმდეგ გამოსულიყვნენ. მოტივი: პეტრე თავად ეშმაკთან წილნაყარია, სძულს რუსები, აწესებს გერმანული ცხოვრების ნირს, სურს მსროლელთა (სტრელეცების) პოლკების დაშლა, თქვენ რჩებით უხელფასოდ, თქვენ დამცველ ივანე მეფეს მოკლავენ, ზედ თქვენ საყარელ „ბოიარებს“ მიაყოლებენ, საჭიროა დღესვე გაილაშქროთ პრეობრაჟენსკოეზე, სადაც პეტრეს მომხრეები არიან შეკრებილნი და თქვენზე თავდასხმას გეგმავენ.

უამთა ამწერნი გვამცნობენ, რომ ორი ჯარისკაცი, დ. მელნოვი და ი. ლადიგინი მოსკოვიდან გაიპარნენ, მივიღნენ პრეობრეჟენსკოეში და შუალამისას პეტრეს მომხრეები გააფრთხილეს მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. იმასაც ამბობენ, რომ ორი ჯარისკაცის მიერ პეტრეს გაფრთხილება ბორის გოლიცინის მიერ იყო ორგანიზებული, მოვლენების დაჩქარების მიზნით.

ასე იყო თუ ისე, შუალამისას პეტრე გააღვიძეს, აუხსნეს სიტუაცია და საცვ-



თევდორე შაკლოვიტის დაკითხვა დაწმება, მინიატურა.



ლების ამარა სასახლიდან გააქციეს რამდენიმე თანმხლებთან ერთად. არის ცნობა, რომ პეტრე არა მხოლოდ ხიფათის გამო, ხშირად ძმასავით საყვარელ ალექსანდრე „იმერეტინსკისთან“ ერთად იძინებდა. გაქცევის დროსაც ალექსანდრე ახლდა პეტრეს.

პატარა ცნობა ალექსანდრეს შესახებ. იგი იმდენად ახლო იყო პეტრესთან, რომ გადაბირების მიზნით სოფიამ და ვასილ გოლიცინმა მილოსლავსკების ქალიშვილი შერთეს ცოლად. ახალი დაოჯახებული იყო ალექსანდრე, როცა არჩილ მეფემ გადაწყვიტა იმერეთის ტახტისათვის ებრძოლა.

29. 06. 1688 წ. პეტრე მეფის ნათლობის დღეობა იყო. ქეიფის დროს პეტრე საკუთარი ხელით უმასპინძლდებოდა ქართველ ნათესავებს; ეხუმრებოდა და ეფერებოდა. მეორე დღეს კი ქართველები იმერეთისკენ გაემგზავრნენ.



პეტრე I მიერ დაწესებული შედალი ლოთობისათვის. ამ მედლის კავალერი ვალდებული იყო მთელი კვირა ეტარებინა ეს თუჯის მედალი, რმელიც 6,8 კგ-ს იწონიდა.

1689 წ. გაზაფხულზე ალექსანდრე კვლავ მოსკოვშია და პეტრეს განუყრელი თანამგზავრი. ასე, რომ 8 აგვისტოს ღამე პრეობრაჟენსკოედან გაქცეულ პეტრეს ალექსანდრე თან ახლდა. გამთენისას მივიღნენ ისინი სამების მონასტერში. მონასტერ-ციხე სიმაგრის ხელმძღვანელი არქიმანდიტრი, მისი მომხრე და მფარველი გახლდათ. აქ მოუვიდნენ მას დედა, ცოლი, ერთგული პოლკები, თანამზრახველები.

8 აგვისტოს დილით თევდორე შავლოვიტი მკვლელებით, ვითომ დარაჯთა სამსახურის შემოწმების მიზნით მივიდა პრეობრაჟენსკოეს სასახლეში. პეტრე ვერ ნახა. ხელცარიელი გაბრუნდა და სოფიას მოახსენა ყოველივე. იმ დროს სოფიას ბანაკი ბევრად ძლიერი იყო, მაგრამ მონასტრის დალაშქვრა მაინც



ვერ გაძედეს.
მალე პეტრეს მი-
უვიდნენ მომხრე
ძალები. სოფიამ
მოინდომა ძმას-
თან, უკვე რო-
გორც ძმასთან,
შერიგება, მა-
გრამ უშედეგოდ.
ბოლოს იძულე-
ბული გახდა წო-
ვოდევიჩიეს მონ-
ასტერში აღკვე-
ცილიყო.




1703 წ. პეტერბურგის დაარსება

27 სექტემ-

ბერს პეტრე დაბრუნდა მოსკოვში, კრემლში, როგორც კანონ-იერი მეფე და გამგებელი. მისი უფროსი ძმა ივანე სამეფო საქმეებში არც ადრე ერეოდა და ახლა მით უფრო.

პეტრემ „პრიკაზების“ უფროსად დაადგინა მისი ერთგული ადამიანები, უფროსად ლევ კირილის ძე ნარიშკინი, ყველას ზედამხედველად დედა და გულდამშვიდებით მიუბრუნდა საყ-ვარელ საქმეს; რუსეთის არმიისა და ფლოტის მშენებლობას. ამ საქმეში მისი ერთგული თანაშემნე ალექსანდრე „იმერეტინსკი“ გახლდათ. სწორედ მას ჩააბარა არტილერიის ორგანიზების საქმე.

ევროპის ქვეყნების კოალიცია თურქეთთან ომს განაგრძობდა. რუსეთი, კოალიციის წევრი, ვალდებული იყო ომში ჩაბმულიყო, 1695 წ. რუსები აზოვის ზღვის ჩამკეტ ციხე-სიმაგრეს მიადგნენ. მანამდე პეტრემ უარი თქვა ყირიმის ხანის წინააღმდეგ წარემართა ძალები. მისი მიზანი აზოვისა და შავი ზღვის, როგორც თბილ ოკეანეში გასასვლელი გზის დაუფლება გახლდათ. ამავე დროს იგი შეძლებდა, დახმარებოდა ქართველებს (არჩილ მეფეს). დიდი მცდელობის მიუხედავად რუსები დამარცხდნენ.



II СОБРАНИЕ БРАКА ЕГО ЦАРСКОГО ВЕЛИЧЕСТВА ПЕТРА ПЕРВАГО САМОДЕРЖЦА ВСЕРОСИЙСКОГО. 1697 г.
1. Царское величество. 2. Её величество. 3. Фамилии её величества. Источник: Альбом Петровских празднеств 1697 года. Музей истории Петербурга и Ленинграда. Фото: Елена Григорьевна Красильщикова.

პეტრე I და მარტა სკვარონსკაის (შემდეგში იმპერატორი ეკატერინე I) ქორწილი (1711 წ.)

ეს თურქეთის იმპერიის სიძლიერეზე მითითებაა. მეორე 1696 წ. პეტრემ განახლებული ძალებით შეუტია და აზოვის ციხეს დაეფულა... აზოვის ზღვის დაუფლება რელური ხდებოდა... იწყებოდა ფლოტის მშენებლობა.

ამ წარმატების მიუხედავად მეფე ნათლად გრძნობდა რუსეთის საერთო ჩამორჩენასა და მისი დაძლევის აუცილებლობას. ამ მიზანს ემსახურებოდა 10. 03. 1697 წ. მოწყობილი დიდი ელჩობა ევროპაში. ელჩები იყვნენ გენერლები ფრანც ლეფორტი, თევდორე გოლოვინი, დიაკი პროკოფი ვოზნიცინი. 250 კაციან




დელეგაციაში თავად მეცე „პეტრე მიხაილოვი“ მეორე ათეულს მეთაურობდა. მესამე ათეულში ქართულად ჩაცმული ალექსანდრე, „იმერეტინსკი“ ირიცხებოდა.

უამთა ამწერლები დეტალურად გადმოსცემდნენ ევროპაში დიდი ელჩობის საქმიანობას. ვერც ერთი ვერ უვლის გვერდს პეტრეს ცოდნის წყურვილსა და ენერგიულობას. შრომობდა როგორც რიგითი მუშა, ცდილობდა ყველა დეტალში გარკვევას. სწავლობდა ყველა საქმეს. განსაკუთრებით გემთმშენებლობას. არაფრით გამოირჩეოდა ელჩობის რიგით მონაწილისაგან გარდა საშურველი მონდომებისა. ყველგან თან პყავდა „იმერეტინსკი“ ამბობენ, რომ ღამე ერთ ოთახში ეძინათ. ყოველივე ევროპელი არისტოკრატების გაოცებასა და აღტაცებას იწვევდა. შეიძლება ითქვას, პეტრე ეცნობოდა ევროპის მიღწევებს, ევროპელები ეცნობოდნენ პეტრეს. პარალელურად მყარდებოდა კავშირები ევროპულ მონარქებთან, იკვეთებოდა სამომავლო გეგმები.

დიდი ელჩობის დასაწყისამდე ადრე ალექსანდრე „იმერეტინსკი“ მეორედ დაოჯახდა. ახალგაზრდა გოგო, ფეოდოსია მილოსლავსკების ასული ალექსანდრეს კავკასიაში ყოფნის დროს დაიღუპა. მეორე მეუღლე უკვე მოსკოველი ქართველების ელიზბარ დავითაშვილის ასული გახლდათ. უცნობია ალექსანდრეს ეყოლა თუ არა მემკვიდრე.

სანაცვლოდ, კარგადაა ცნობილი, რომ ალექსანდრე განუყრელად თან ახლდა პეტრეს ამსტერდამიდან ინგლისში სასწავლო-გაცნობითი მოგზაურობის დროსაც. უფრო მეტი, ცნობების თანახმად, მათ არა მარტო ეძინათ ერთ ოთახში, არამედ ევროპელ მონარქებსაც ერთად ეცნობოდნენ, ერთად შრომობდნენ გემთსაშენებში თუ საზარბაზნე ქარხნებში. რუსეთში დაბრუნების შემდეგ, როგორც კი საჭიროებამ მოითხოვა, პეტრეს არ უყოფანია, თუ ვისთვის უნდა ჩაებარებინა სამეფო არტილერიის საქმის განმგებლობა... და საერთოდ არავინ იცის როგორ განვითარდებოდა მოვლენები, შვედებს რომ ღალატის ფასად არ დაეტყვებებინათ ალექსანდრე და ეს სამხრეთელი კაცი განგებ არ გაეტანჯათ ჩრდილოეთში. 20. 02. 1711 წ. ტყვეო-



1725 წ. 8 თებერვალი.

დიდი იმპერატორის
აღსასრული

ბიდან დახსნილი ძმა, გზაში
მოუკვდა პეტრეს.

დღეის გადასახედიდან
ადვილია მსჯელობა რა და
როგორ მოხდა, რა აჯობებდა
და რატომ. ამისდა მიუხე-
დავად, დღემდე განხილვის
გარეშეა დარჩენილი ბევრი
რამ. კერძოდ: რატომ ცდი-
ლობდა პეტრე დიდი თურქე-
თის წინააღმდეგ ეწარმოე-
ბინა ომი, მაშინ, როდესაც
არჩილ III იმერეთში მეფობის
დაბრუნებისათვის იბრძოდა.
რატომ შეცვალა ომის მიმარ-
თულება მოგვიანებით, როცა
ვახტანგ VI დაუკავშირდა და
ირანის წინააღმდეგ საერთო
ლაშქრობა შესთავაზა. მარ-
თალია განზრახულობა არ
შესრულდა თავად პეტრე I

გარდაცვალების გამო, მაგრამ რა იყო მისი მიზანი, ესაა არ-
სებითი.

ცხადია, არც ერთი მკვლევარი ვარაუდების გარჩევას არ
დაიწყებს, მაგრამ დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუ-
ძლია სწორი დასკვნის გამოტანა.



აღვენისანდრუ გასილის ძე ახატ-ნელი. საბჭოთა პერიოდის ანტისაბჭოური მქონეებიდან. ისტორიული და ფილოსოფიური დაწეების სამეცნიერო ხარისხებით და მრავალი ნაშრომით, მათ შორის: „რევოლუციაური ანექსია“, „ქართველის კინოგნეზზი“, „პოლიტიკური დოკუმენტის საფუძვლები“. საქართვისა და იმის შემთხვევაში, რომ 1974 წელს გმირაქვეყნა ნაშრომი, რომელიც ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირი სახელმწიფო კანკიურის წარმოადგენდა და არა სოციალისტურის.

„სანდრო პაპას“ ფილმით გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო-შხატვრული ნაშრომი, რომლებიც ქართველთა ისტორიის ეპიზოდებია გაშექმული ქეყლი წელთაღიცხვის III ათასწლეულიდან დღემდე. მათ შორის: ავეტის პაპის, აიეტის, შედეას, ტრიას რმის, ამრის, მოოჩიდატე პონტიოვის, ფარნაკაზის, რადამისტის, ფარსმან II და IV წმინდა ნიმის, ცოტნე დადაანის, გიორგი საკაძის, სტალინის წინააღმდეგ შეთქმულების, 1993 წლის მოღალატურის რმის, 2009 წლის დემონსტრაციების შესახებ და სხვ-ასეულ მიზანმიმართულია წინამდებარე მცირე ნაშრომი.